**ხელშეკრულება № 48**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

**ქ. გორი** 06 05 **2015 წელი**

ერთის მხრივ, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის ზურაბ ჯირკველიშვილის სახით და მეორეს მხრივ ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვასილ მენთეშაშვილის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1. ხელშეკრულების საგანია გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით სტამბური წესით ნაბეჭდი წიგნების, ბროშურების და საინფორმაციო ფურცლების ( CPV კოდი 22100000) შესყიდვა. შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

### *2 შესყიდვის ობიექტი*

2.1 შესყიდვის ობიექტია: ქ გორის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სტამბური წესით ნაბეჭდი შემდეგი სახის სპეციალური ჟურნალების შესყიდვა:
ა) ჟურნალი №18 - 1 (ერთი) ცალი;
ბ) ჟურნალი №22 - 1 (ერთი) ცალი;
გ) ჟურნალი №29 - 1 (ერთი) ცალი;
დ) ჟურნალი №35 - 1 (ერთი) ცალი;

### *3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასია:
ა) ჟურნალი №18 - 20 (ოცი ლარი) ლარი;
ბ) ჟურნალი №22 - 22 (ოცდაორი ლარი) ლარი;
გ) ჟურნალი №29 - 22 (ოცდაორი ლარი) ლარი;
დ) ჟურნალი №35 - 18 (თვრამეტი) ლარი;
3.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა -82 (ოთხმოცდაორი) ლარი, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით

### *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღე,
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ №5;
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

### *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### *7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში;
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება, უნაღდო ანგარიშსწორების წესით;
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან მოხდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შემდგომ, მე 5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

## *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
-მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში ;
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

## *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 ივნისამდე.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;
14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მიხეილ ნონიკაშვილი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამეურნე-ტექნიკური განყოფილების უფროსი ;
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *15. სხვა პირობები*

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ორი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**„შემსყიდველი“:**

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი : ქ.გორი სტალინის გამზ. №16
ს/კ 218083767
მიმღების დასახელება :ხაზინის ერთიანი ანგ.
მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
მიმღების სახაზინო ანგარიში

---

ქგორის მუნიციპალიტეტის მერი

ზურაბ ჯირკველიშვილი

**„მიმწოდებელი“:**

ს/ს „ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი”
მის. ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ №5
ს\კ 202886172
ბანკი. „რესპუბლიკა”-ს ცენტრალ. ფილიალი
ბ/კოდი REPLGE22
ანგ.№ GE16BR 0000010277830250

---

ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი”-ს გენ. დირექტორი

ვასილ მენთეშაშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გორი 06 05 2015 წელი.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სპეციალური ჯურნალების შესყიდვასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ს/ს „ბეჭდვითი სიტყვის კობინატი "-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო წეწვაძე

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის სამეურნეო
ტექნიკური განყოფილების უფროსი მიხეილ ნონიკაშვილი

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების
განყოფილების უფროსი მურაზ შიოშვილი